პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 4 მარტი, 1949 წ. № 44 (8347). ფასი 20 კაპ.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში, მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას ახმარენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს კვლავაც იზრუნონ საბჭოთა ქალების იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, აღზარდონ ისინი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის შესახებ

ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს წელს სსრ კავშირის მშრომელები ეგებებიან ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში.

მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ სამყაროში სულ უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა და კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგობანი ომისშემდგომ პერიოდში სულ უფრო ღრმა და დამანგრეველი ხდება, საბჭოთა საზოგადოება შედუღაბებულია მთელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, ხოლო სოციალისტური მეურნეობა, რომელმაც არ იცის ანარქია, კრიზისი და უმუშევრობა, განუხრელად ვითარდება. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს სტალინური ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად. ომისშემდგომი ხუთწლედის სამ წელიწადში მიღწეული და გადაჭარბებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე. შეიქმნა საჭირო პირობები წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდისა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ლენინ-სტალინის დიადი იდეებით შთაგონებული საბჭოთა ქალები მთელ ხალხთან ერთად მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

სოციალისტურმა წყობილებამ ქალს სრული თავისუფლება მოუტანა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელეს ქალთა პოლიტიკური და ეკონომიური თანასწორუფლებიანობა, საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის ქალებს შეუქმნეს ნიჭისა და შემოქმედებითი ძალების ყოველმხრივი განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობა. მილიონობით მშრომელი ქალი კაცობრიობის ისტორიაში პირველად გახდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების აქტიური მშენებელი.

საბჭოთა ქალების—სოციალისტური ინდუსტრიის, კოლექტიური სოფლის მეურნეობის, სოციალისტური კულტურის ამ მშენებლების სახელოვანი შრომა სამუდამოდ შევა ისტორიაში.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ქალები ზურგში და ფრონტებზე თავდადებით ასრულებდნენ თავიანთ ვალს, მთელ მსოფლიოს დაანახვეს, თუ რა შეუძლია საბჭოთა ქალს — თავის სამშობლოს მზნეებარე პატრიოტს, ლენინ-სტალინის დიად იდეებზე აღზრდილს.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში, მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას ახმარენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ყოველწლიურად დიდდება ქალების როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უზრუნველყოფენ მილიონობით ქალის სულ უფრო ფართო მონაწილეობას აქტიურ აღმშენებლობის მეშაობაში. „ჩვენ უნდა მივესალმოთ შრომელ ქალთა მზარდს საზოგადოებრივ აქტივობას და მათს დაწინაურებას ხელმძღვანელ პოსტებზე, როგორც ჩვენი კულტურულობის ზრდის უეჭველ ნიშანს“ (ი. სტალინი).

საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის მართვაში, სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, რაც საბჭოთა წყობილების ნამდვილი დემოკრატიზმის ერთ-ერთ მკფიო მაჩვენებელს წარმოადგენს. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად არჩეულია 277 ქალი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში—1.700-ზე მეტი ქალი. ნახევარ მილიონამდე ქალი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია.

საბჭოთა ქალი სულ უფრო დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალისტურ მრეწველობაში. მილიონობით მუშა ქალი დაეუფლა რთულ საწარმოო პროფესიებს, დაუფლავად იმაღლებს კვალიფიკაციას, სრულყოფს თავის ოსტატობას. 280 ათასი ქალი ინჟინრად, ტექნიკოსად და ოსტატად მუშაობს. ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შინაგრეგების მობილიზაციისათვის, საწარმოთა რენტაბელობისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საყოველთაო სახალხო პატრიოტულ მოძრაობაში მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი ქალები იჩენენ შემოქმედებითს ინიციატივასა და გამბედაობას, მაღალ სოციალისტურ შეგნებას, საერთო სახელმწიფო ინტერესებს გაგებას. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდათ აფასებენ ქალთა თავდადებულ შრომას მრეწველობაში და ტრანსპორტზე; ასითასობით მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

კოლმეურნე ქალები აქტიურ ბრძოლას ეწევიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. მრავალი ათასი ქალი მუშაობს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ასი ათასზე მეტი კოლმეურნე ქალი მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი და მეცხოველეობის ფერმის გამგეა. კოლმეურნე ქალები წარმატებით ეუფლებიან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ათიათასობით კოლმეურნე ქალი მართავს ტრაქტორს, კომბაინსა და სხვა რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას.

საკოლმეურნეო წყობილებამ გამოზარდა შესანიშნავი ქალები—სოციალისტური სოციალის მეურნეობის ნოვატორები, რომლებიც მოწინავე მიჩურინული აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს უნარიანად იყენებენ უხვი მოსავლის მისაღებად. სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეებისათვის 700-მდე ქალს მინაჩენული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ათიათასობით კოლმეურნე ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა ქალები მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა სოციალისტური კულტურის აქტიური მოღვაწენი არიან. მამაკაცებთან ერთად ისინი დაუღალავად შრომობენ ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრის გასამრავლებლად. ქალმა ფართოდ გამოიყენა განათლების უფლება და საბჭოთა საზოგადოების დიდი კულტურული ძალა გახდა. სრული უმაღლესი განათლების მქონე ყველა სპეციალისტთა 44 პროცენტს ქალები შეადგენენ. მეცნიერების, გამოგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო მუშაობისათვის სტალინური პრემია მინიჭებული აქვს 237 ქალს.

ქალები უდიდეს როლს ასრულებენ სახალო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებს პედაგოგი ქალების კეთილშობილურ შრომას, რომლებიც ახალგაზრდობას ზრდიან მამაცურ იდეურობის, სამშობლოსადმი ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით, ისევე როგორც ექიმი ქალების შრომას, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობას იცავენ. მრავალი ათეული ათასი მასწავლებელი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკი ქალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ბავშვის აღზრდა ქალის საპატიო საზოგადოებრივი მოვალეობაა. დედობა და ბავშვის აღზრდა სსრ კავშირში გარემოსილია პატივით და დაფასებით. საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ხარჯავს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დასახმარებლად. 2.500 ათასი ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“. „გმირი დედის“ წოდება მიენიჭა 28.500 ქალს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღმავლობასთან დაკავშირებით წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა ქალების და მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირება, რაც 1949 წლის 1 მარტიდან განხორციელდა, მკაფიოდ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას მშრომელებისათვის. ფასების ეს შემცირება ნიშნავს საბჭოთა ქალებს, იაე როგორც მთელი მოსახლეობის, მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საბჭოთა წყობილების მონაპოვარნი, საბჭოთა ქალის თანასწორუფლებიანი მდგომარეობა, მისი სწრაფი სულიერი და პოლიტიკური ზრდა აღმფრთოვანებელი მაგალითია მთელი მსოფლიოს ქალებისათვის მათს ბრძოლაში მშრომელთა ბედნიერებისათვის, სოციალიზმისა და დემოკრატიის იდეების გამარჯვებისათვის. ბურჟუაზიულ წყობილებაში ექსპლოატაციის, უუფლებობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებიან კაპიტალისტური სამყაროს და კოლონიური ქვეყნების მშრომელი ქალები.

ქალთა საერთაშორისო დღეს მსოფლიოს მშრომელი ქალები აღნიშნავენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების შემდგომი განმტკიცების ვითარებაში, ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ დაძაბული ბრძოლის ვითარებაში, იმპერიალისტებისა, რომლებიც ისწრაფვიან თავს დაატეხონ კაცობრიობას ახალი ომის უბედურება.

საბჭოთა ქალი სოციალიზმისათვის, დემოკრატიისა და მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ქალთა საერთაშორისო მოძრაობის აკანგარდში დგას. საბჭოთა ქალს მხურვალედ უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს მოწინავე ქალები. მშრომელ ქალებს ახსოვთ ფაშისტ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედებანი. იზრდება და ფართოვდება ქალთა საერთაშორისო მოძრაობა, რაც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რაზმია დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მეთაურობენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი ჩაატარონ ომისშემდგომი ხუთწლედის და 1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესასრულებლად საბჭოთა ქალების თავდადებული შრომისათვის შემდგომი მობილიზაციის ნიშნით საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საფუძველზე.

მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი ქალების ინიციატივა და აქტივობა მიმართულ უნდა იქნეს შრომის საყოფიერების შემდგომი გადიდებისაკენ, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, უმაცრესი მომჭირნეობის რეჟიმისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ.

კოლმეურნე ქალებმა შემდგომაც უნდა განაგრძონ შეუპოვარი ბრძოლა უხვი და მყარი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, მინდორსაცავ ნაკვეთთა გეგმის—ტყეების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესრულებისათვის. ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვისა და აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების შექმნისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს უფრო მტკიცედ და გაბედულად დაიწინაურონ ქალები ხელმძღვანელ, სახელმწიფოებრივ, პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ სამუშაოზე, იხელმძღვანონ იქონონონ, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების დაწინაურება სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას წარმოადგენს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ქალებს კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა მოზარდი თაობის აღზრდის საპატიო საქმეში.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მეტი ინიციატივა და სიმტკიცე გამოიჩინონ პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რაც მიმართულია მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე ქალების—ყველა მშრომელი ქალის შრომისა და ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ; უზრუნველყონ სბავშვო და სამკურნალო დაწესებულებათა, საზოგადოებრივი კვების და ყოფაცხოვრებითი მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოება და მათი მუშაობის გაუმჯობესება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს კვლავაც იზრუნონ. საბჭოთა ქალების იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, აღზარდონ ისინი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს მიესალმება მუშა, ინჟინერ, ტექნიკოს, კოლმეურნე, აგრონომ, ზოოტექნიკოს, მასწავლებელ, მედიცინის მუშაკ, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკ ქალებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა პატრიოტი ქალები მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას მოახმარენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმეს, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი ესტონურ ენაზე

ტალინი, (საკვლეი). ესტონეთის სსრ პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი. თარგმანი ესტონურ ენაზე შეასრულა ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

გამოცემის ტირაჟია 25 ათასი ცალი.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

28 თებერვალს შედგა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი პლენუმი. თავმჯდომარეობდა ნ. ს. ტიხონოვი. განიხილეს საოპერო ხელოვნების, აგრეთვე არქიტექტურის დარგის ნამუშევრები, რომლებიც წარმოდგენილია 1948 წლის პრემიების მისაღებად.

თეატრის სექციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ა. ზავადსკიმ პლენუმს მოახსენა ოპერისა და ბალეტის თეატრების ახალი დადგმები. განხილულ იქნა 21 სპექტაკლი.

მოხსენება არქიტექტურის დარგის ნამუშევართა შესახებ სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სექციის სახელით გააკეთა სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. გ. მორდვინოვმა. განხილულ იქნა 16 ნაწარმოები.

კომიტეტმა დაამთავრა განხილვა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის ნამუშევრებისა, რომლებიც წარდგენილია სტალინური პრემიების მისაღებად.

(საკვლეი).

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი

1 მარტს აკადემიკოს ს. ნ. ნესმეიანოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი. პლენუმი შეუდგა 1948 წელს სტალინური პრემიების მისაღებად წარდგენილ ნაშრომთა განხილვას.

გასული წელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი თვალსაჩინო მიღწევებით აღინიშნა. ამას მოწმობს მრავალი მეცნიერული ნაშრომი და გამოგონება. როგორც კომიტეტის სწავლულმა მდივანმა პროფესორმა ბ. ი. კუზნეცოვმა განაცხადა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მიღებულია 864 ნაშრომი — 100-ით მეტი, ვიდრე შარშან. მათ შორის 224 მეცნიერული ნაშრომია და 640 გამოგონება. მომხსენებელმა მოიყვანა აგრეთვე ამ ნაშრომთა ავტორების რიცხვი, რაც დაახლოებით 3.000-ს უდრის.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მთელი რიგი იმ სექციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი, რომლებმაც წინასწარ განიხილეს ნაშრომები. აღინიშნა საბჭოთა მკვლევარების ახალი წარმატებანი ფიზიკურ-მათემატიკურ, ტექნიკურ და სხვა მეცნიერებათა დარგში. ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის დარგში წარმოდგენილი ნაშრომები ასახავენ მოწინავე მიჩურინული მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ს. ვ. კაფტანოვმა, აკადემიკოსებმა ს. ი. ვავილოვმა, ტ. დ. ლისენკომ, ნ. ი. მუსხელიშვილმა და სხვებმა.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

(საკვლეი).

მოსკოვს ჩამოვიდა კორეის მთავრობის დელეგაცია

3 მარტს მოსკოვს ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პაკ ხენ ენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ხონ მენ ხი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ტენ დიუნ თხიაკი, ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი პიაკ ნამ უნი, განათლების მინისტრი ბ-ნი პიაკ ნამ უნი, კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი კიმ დენ დიუ და სხვა ოფიციალური პირნი.

იაროსლავლის ვაგზალზე ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, გენერალ-ლეიტენანტი ნ. ვ. სლავინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ა. სელეზანოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მორეული აღმოსავლეთის 1-ლი განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელი ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე პ. ა. ბუშუევი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ კორეის სელჩრს წევრები საგანგებო და სრულუფლებიანი. ელჩის ბ-ნ დიუ ენ ხის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი კორეაში ტ. ფ. შტიკოვი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზალი მორთული იყო კორეისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

საბჭოთა კავშირ-კორეის საზღვარზე დელეგაციას შეხვდა და მოსკოვამდე თან ახლდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (საკვლეი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ბ-ნ კიმ ირ სენის სიტყვა

მოსკოვს ჩამოსულისას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა კიმ ირ სენმა ვაგზალზე მიკროფონთან წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

„უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ კორეელი ხალხის სახელით გულწრფელი სალამი გადმოგცეთ თქვენ, ქალაქ მოსკოვის მოქალაქეებს, და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს.

ჩვენ ყველანი ღრმასენი ვართ უსაზღვრო სიხარულით და დიდი ქმაყოფილების გრძნობით, რომ აქ, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, შეგვიძლია პირადად გამოვთქვათ ჩვენი ულრმესი პატივისცემა და უსაზღვრო მადლობა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებისა და გმირი საბჭოთა არმიისადმი კორეელი ხალხის განთავისუფლებისათვის იაპონიის იმპერიალიზმის ხანგრძლივი კოლონიური მონობის უღლისაგან.

კორეელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ უდიდეს და უანგარო დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირი გვიწევდა და გვიწევს ჩვენი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარების საქმეში, ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საქმეში.

საბჭოთა კავშირმა კორეიდან თავისი ჯარების გამოყვანით ერთხელ კიდევ დაანახვა კორეელ ხალხსა და მთელ მსოფლიოს, რომ მას გულწრფელად სურს კორეა ერთიანან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ იხილოს.

ამიტომ მძლავრი საბჭოთა კავშირის ხალხებთან მეგობრობა კორეელ ხალხს თავისი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მთავარ გარანტიად მიაჩნია.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს რწმენა გამოვთქვა, რომ კორეის მთავრობის დელეგაციის ახლანდელი ჩამოსვლა მოსკოვს ხელს შეუწყობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაძმტკიცების საქმეს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშრობის ინტერესებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და კორეის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის გენიალურ ხელმძღვანელს, გენერალისიმუს სტალინს!“ (საკვლეი).

ქართველ მოცეკვავეთა კონცერტი მოსკოვში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

28 თებერვალს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვახტანგ ჭაბუკიანის საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა — სტალინური პრემიის ლაურეატმა ვერა წოგნაძემ, დამსახურებულმა არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ზ. კიკალეიშვილმა, დამსახურებულმა არტისტებმა მ. ბაუერმა, თ. ჭაბუკიანმა და სხვებმა.

ხალხით სავსე დარბაზი მხურვალედ მიესალმა ქართველ მსახიობებს, რომლებმაც შეასრულეს მრავალფეროვანი პროგრამა: ნაწყვეტები ქართული ბალეტიდან და კლასიკური ბალეტიდან. დამსწრეთა შორის იყვნენ დიდი თეატრის ბალეტის სოლისტები ლეპეშინსკაია, გოლოვკინა, პლისეცკაია და დიდი თეატრის დირიჟორები.

საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა და მოსკოვის არტისტული საზოგადოებრიობის მხურვალე მოწონება დაიმსახურა.

დიდი თეატრის დირიჟორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ფაიერმა, რომელიც დიდი თეატრის ყველა საბალეტო დადგმას დირიჟორობს, თქვენს კორესპონდენტს განუცხადა:

„ფაილაშვილის სახელობის თეატრის მიერ ჩატარებულმა დიდმა მუშაობამ საუცხოო შედეგი მოგვცა. თეატრი ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა. ჩვენს საბალეტო ხელოვნებას ვახტანგ ჭაბუკიანის სახით მსოფლიო მოცეკვავე და ღირსეული ოსტატი ჰყავს. განსაკუთრებით კარგია მისი, როგორც ბალეტმეისტერის, მუშაობა. ვერა წოგნაძის სახით ჩვენ გვყავს მშვენიერი მოცეკვავე, რომელიც გამოირჩევა დიდი სინაზითა და უშუალობით. კიკალეიშვილი ბრწყინვალე მოცეკვავეა, რომელიც კარგად ხტის და შესანიშნავად ცეკვავს.

აღსანიშნავი არიან თამარ ჭაბუკიანი და ბაუერი, რომლებმაც თავიანთი ცეკვით მჭუხარე ტაში გამოიწვიეს“.

ფაიერმა აღნიშნა ჭაბუკიანის მიერ ქორეოგრაფიის კარგი ცოდნა. დიდი სინაზითა და დრამატიულობით შეასრულა ი. ალექსიძემ თავისი პარტია ბალეტ „ესმერალდა“-დან. ე. გელოვანი ვირტუოზული მოცეკვავეა. პატარაიამ და ლოლაძემ ბრწყინვალედ შეასრულეს ეროვნული ცეკვები. კოლექტივის ახალგაზრდა მსახიობებმა ზ. ერეთელმა, ლეონიძემ, მაღალაშვილმა და ანანიძემ შეავსეს საღამოს პროგრამა და მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

დასასრულ ფაიერმა მთელ კოლექტივს და მის ხელმძღვანელს ვახტანგ ჭაბუკიანს უსურვა შემდგომი მიღწევები საბალეტო ხელოვნების დარგში.

მოგებათა ფირაქები მარტში

მარტში შედგება სახელმწიფო სესხების მოგებათა ორი ტირაჟი.

20 მარტს ტალინში მოეწყობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა მესამე ტირაჟი. ამ სესხის 228 თანრიგზე გათამაშებულ იქნება 524.719.200 მანეთის 1.966.500 მოგება.

30 მარტს მოსკოვში შედგება 3-პროცენტიანი სახელმწიფო სესხის მოგებათა მე-8 ტირაჟი. გათამაშებულ იქნება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება.

(საკვლეი).

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 6 მარტს.

ფართოდ განვავითაროთ მებაღეობა, მივცეთ საშობლოს მეჯი მაღალხარისხოვანი ხილი!

ზორაბ რაიონის მეხილე კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაებისა და სპეციალისტების მიმართვა საქართველოს სსრ უმაღლა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშისა და სპეციალისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი შრომითი აღმავლობა გაძოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მზადების მიმდინარეობის შესახებ“. პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილება მოსავლიანობის შემდგომი აღმავლობის პროგრამას წარმოადგენს. საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი, ბარაქიანი მოსავლის მისაღებად.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა 1948 წელს სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორობა იკისრეს მეხილეობის შემდგომი აღმავლობისა და ხილის უხვი მოსავლის მიღების საქმეში. სოფლის მეურნეობის მრავალ სხვა დარგთან ერთად მეხილეობას გორის რაიონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხეხილის ბაღების ფართობი 9.500 ჰექტარს აღწევს. გორული ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი და გარგარი ფართოდ არის ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად კოლმეურნეობებში მოეწყო მებაღეობის 88 სპეციალური ბრიგადა და 279 რაზალი. ხეხილის ნარგავები დასაბუშავებლად მიჩენილი ჰქონდა 4.400 კოლმეურნეს. რაიონში გაშენდა 105 ჰექტარი ხეხილის ბაღი, სამეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით ბაღებში გამორგულ იქნა 10.500 ძირი ხეხილის ნერგი. საკოლმეურნეო ბაღებში 76 ათას მეტრზე მოეწყო ქარსაფარი და ცოცხალი ღობე. გაშენდა 18,4 ჰექტარი ქარსაფარისა და ცოცხალი ღობის სანერგე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარისა. გადაპარებებით შესრულდა ბაღებში ნაკელის შეტანის გეგმაც.

ჩვენ საბრძოლო მავიდით საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითება იმის შესახებ, რომ გადაჭრით გაგეძღვერებინა ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობა და მიგეყენო ხილის უხვი მოსავალი.

ჩვენ პირობა მივეცით ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ 1948 წელს ხილის უხვ მოსავალს მოვიყვანდით. შრომის სწორი ორგანიზაციით და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად გატარებით ეს ვალდებულება პირნათლად გავანაღდეთ. 1948 წელს მოსავლიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 80.000 ცენტნერამდე ხილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 33.500 ცენტნერისა. ხილის მოსავლით კოლმეურნეობათა ფუძლამა შემოსავალმა 15.600 ათას ძანეთს გადააჭარბა. დიდად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი როგორც საკოლმეურნეო, ისე საკარმიდამო ბაღებიდან.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკეულმა კოლმეურნეებმა ხილის დიდი მოსავალი მოიყვანეს.

სოფელ კარბის კოლმეურნეობამ 50 ჰექტარი მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე 61 ცენტნერი ხილი მოიყვანა. კოლმეურნეობამ ხილის მოსავლით ფულად 750 ათასი მანეთი მიიღო.

სოფელ ფლავის კოლმეურნეობამ 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 100 ცენტნერი ხილი. კოლმეურნეობაში ხილის მოსავლით ფულად მიღებულია 600 ათასი მანეთი.

ხილის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ქერეს, მეჯოღისპირის, მაკუბეთის, მერეთის, ქვეშის, ხელფუნის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

სოფელ ფლავის კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადამ, რომელსაც გეორგი ლაფაჩი ხელმძღვანელობს, 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი ხილი მოიყვანა. ამავე კოლმეურნეობაში დაეთი მახარაშვილის რგოლმა 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 170 ცენტნერი ხილი მიიღო, ხოლო მახარაშვილმა პირადად მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარ ბაღში 243 ცენტნერი ხილი მოიყვანა.

სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის იმ რგოლმა, რომელსაც სიკო ცაციაშვილი ხელმძღვანელობს, 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 94 ცენტნერი ხილი მიიღო, პირადად ცაციაშვილმა კი მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარ ბაღში 400 ცენტნერი ვაშლი მოიყვანა. უხვი მოსავლის ამ გაძოჩენილმა ოსტატმა მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 50 ცენტნერი ვაშლი მიიღო.

აქედან ცხადია, რომ მეხილეობის განვითარების საქმეში 1948 წელს ჩვენ მნიშვნელოვან წარმატების მივაღწიეთ. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებებიც. ხეხილის ზოგიერთი ბაღი დაავადებულია, გავრცელებული მავნებლები, რომელთა წინააღმდეგ არ ტარდება სათანადო ღონისძიებანი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხარისხიანად არ წარმოებს ხეხილის გასხვლა და სხვა სამუშაოები. დამამზადებელი ორგანიზაციები სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ 1948 წლის ხილის დამზადების სეზონს. ეს ნაკლოვანებანი წელს აღარ უნდა განმეორდეს.

რაიონსულ შეკრებაზე განვიხილეთ რა გასული წლის შედეგები, წელს მეხილეობის შემდგომი განვითარებისა და ხილის უხვი მოსავლის მისაღებად მოგიწოდებთ ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვეკისრით ვალდებულებანი და მაღალაყოფიერად ვიმუშაოთ მათი შესრულებისათვის. ჩვენის მხრივ პირობას ვიძლევით:

1. გავაშენოთ წელს სულ მცირე 100 ჰექტარი ხეხილის ახალი ბაღები;

2. მოვაწყოთ ბაღების რემონტი და აღდგენა კოლმეურნეობებში 6.000 ძირი ხეხილის გამორგვით;

3. გავაშენოთ ქარსაფარი ზოლები და ცოცხალი ღობეები საკოლმეურნეო ბაღებში 50 ათას მეტრზე, აქედან ქარსაფარები 30 ათას მეტრზე, ცოცხალი ღობე—20 ათას მეტრზე;

4. მოვაწყოთ 9 ჰექტარი ხეხილის სანერგე, მათ შორის კოლმეურნეობებში 3,4 ჰექტარი, სახელმწიფო მეურნეობაში 5,6 ჰექტარი;

5. გავაშენოთ ქარსაცავებისა და ცოცხალი ღობეების 10 ჰექტარი სანერგე;

6. გავსლათ ხეხილი კოლმეურნეობებში—3.000 ჰექტარზე, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებში — 4.370 ჰექტარზე და საბჭოთა მეურნეობებში — 640 ჰექტარზე;

7. მოვაწყოთ ხეხილის ბაღების რიგთა შორის ხეხი: კოლმეურნეობებში 3.550 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში—640 ჰექტარზე;

8. უზრუნველვყოთ ხეხილის ძირების შემბამავა 8.400 ჰექტარზე, აქედან კოლმეურნეობებში 3.800 ჰექტარზე, საკარმიდამო ნაკვეთებში — 4.600 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში — 640 ჰექტარზე;

9. მოვრწყოთ ხეხილის ბაღები 3-4-ჯერ;

10. ჩავატაროთ საკოლმეურნეო ხეხილის ბაღებში 3-ჯერადი გოფხვიეტეა 3.800 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში—640 ჰექტარზე;

11. შევიტანოთ ნაკელი საკოლმეურნეო ბაღებში 3.000 ჰექტარზე;

12. ხეხილის ბაღების მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ჩავატაროთ შემდეგი ღონისძიებები:

ა) რკინის ძაღის ხსნარით ხეების ჩამობანა 1.500 ჰექტარზე;

ბ) კალციფორნიის ფარიანას წინააღმდეგ მინერალური ზეთის ემულსიით ჩამობანა 2.640 ჰექტარზე;

გ) ხეხილის ზამთრის გოფხეკა-გასუფთავება და კირის ხსნარით შეთეთრება 4.346 ჰექტარზე;

დ) მსხმოიარე თესლოვანი ხეხილეის კომბინირებული ხსნარით 4-ჯერ შესხურება 4.227 ჰექტარზე;

ე) ახალგაზრდა თესლოვანების კომბინირებული ხსნარით 2-ჯერ შესხურება 1.900 ჰექტარზე;

ვ) კურკოვანთა ნარგავების კომბინირებული ხსნარით 3-ჯერ შესხურება 313 ჰექტარზე;

ზ) ატმის ნარგავების ბორდოს ხსნარით 2-ჯერ შესხურება 220 ჰექტარზე.

13. საკოლმეურნეო ბაღების 1.000 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ სულ მცირე 50 ცენტნერ ხილს.

ცაციკულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს წელს მიიღონ ხილის კიდევ უფრო უხვი მოსავალი.

სოფელ მერეთის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 150 ცენტნერი ხილი.

სოფელ ბავშვების კოლმეურნეობამ იკისრა 10 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 100 ცენტნერი ხილი.

სოფელ კარბის კოლმეურნეობამ პირობა დასდო, რომ 15 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერ ხილს მიიღებს.

სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობამ 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი ხილის მოყვანა დაიკალა.

სოფელ ფლავის კოლმეურნეობა კისრულობს 10 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 180 ცენტნერი თესლოვანი ხილი, ხოლო 8 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი კურკოვანი ხილი.

სოფელ ტირძნისის კოლმეურნეობა ნაკისრი ვალდებულების მიხედვით 20 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერ ხილს მოიყვანს, სოფელ ქარაგეთის კოლმეურნეობა 97 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერს, ხოლო სოფელ ზემოტყვიავის კოლმეურნეობა—20 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერს.

სოფელ ქერეს კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ა. ელიკაშვილი ხელმძღვანელობს, აიღო ვალდებულება 5 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 150 ცენტნერი ხილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სკრის საცდელი სადგურის კოლექტივი ხეხილის ბაღებში აგროტექნიკური ღონისძიებათა გატარების საქმეში შეფობას გაუწევს ახალხიზის, ქიზნისის, ზემო და ქვემო სკრის კოლმეურნეობებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის სიტყვაში ამხანაგ ს. ცაციაშვილმა, რომ „საჭიროა უფრო უკეთ დავაყენოთ ხეხილის ნარგავების მოვლა, მივაღწიოთ მოსავლიანობის შემდგომ ზრდას და ნაყოფის დამზადების გადიდებას. ამასთან ერთად უნდა უზრუნველვყოთ ხილის ნარგავების ფართობის გადიდება რესპუბლიკის ყველა რაიონში და აუწარნარეს ყოველისა ძირითადი სამრეწველო მებაღეობის რაიონებში — ქართლსა და მესხეთში“.

აქხანაგ ჩარკვიანის მიერ დასახული ამ სამპტიო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ენერგიულად ვიმუშაებთ; კიდევ უფრო განვამტკიცებთ მებიელეობის ბრიგადებსა და რგოლებს, ფართოდ დავნერგავთ მუშაობის ინდივიდუალურ და წვრილ ჯგუფურ სანარღო სისტემას, ზუსტად დავავტარებთ შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონს.

ვალდებულებათა აღება საქმის დასაწყისია. მთავარია მისი პირნათლად შესრულება. მტკიცე პირობას ვიძლევით სასახელოდ შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი. მივცეთ სამშობლოს მეტ ხილს, ხელს შეეწეოთ ჩვენი დიადი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და განმტკიცების საქმეს.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნეთა შორის მეხილეობის შემდგომი განვითარებისა და ხილის უხვი მოსავლის მისაღებად.

ყველფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ეს არის რაიონის მეხილე კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ღირსების საქმე.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ძლევამოსილ ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

(ვალდებულება მიღებულია გორის რაიონის მეხილე კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სპეციალისტების რაიონული შეკრების მონაწილეთა მიერ).

გორელ მეხილე კოლმეურნეთა შეკრება

24 თებერვალს გორში შედგა რაიონის მეხილეობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მერგოლურების, მოწინავე კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თათბირი.

გორელ მეხილეთა შეკრებას დაესწრნენ: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. კეცხოველი, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის სოფლურ კომიტეტის მდივანი ამხ. ა.კ. ომნაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის, ქარელისა და ცხალენირის რაიკომების მდივნები ამხ. გ. ფოფხაძე, ი. რთველიაშვილი და ა. ცხოვრებოვი.

მეხილეობის განვითარების საქმეში 1948 წელს მოპოვებულ წარმატებებისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ყუჯიაშვილმა.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა გორის რაიონის მეხილეობის კოლმეურნეობების მიღწევებზე, რომლებიც მათ მოიპოვეს 1948 წელს ხილის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. შემდეგ მან გააკრიტიკა ცალკეული კოლმეურნეობანი, რომლებმაც ბაღებში ვერ უზრუნველყვეს აგროღონისძიებათა გატარება, რის შედეგად ძლიერ დაბალი მოსავალი მიიღეს. ისე მოხდა, მაგალითად, ზეღდულეთის, პატარა ხურვალეთის, ფხვენისის და სხვა კოლმეურნეობებში. თათბირზე აღინიშნა აგრეთვე სკრისა და გორის მეხილეობის საცდელი სადგურების სუსტი მუშაობა მიჩერნილი მოძღვრების პოპულარიზაციის საქმეში.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ი. ეცადაშვილი (სოფელი ფლავი), ვ. მახარობლიძე (ვარიანის საბჭოთა მეურნეობა), ვ. კენჭაძე (ტირძნისი), ზ. მარიამიძე (ყარბი), თ. ალავერდაშვილი (ხილის მავნებელთა გამანადგურებელი სადგური), ვ. მეცხვარიშვილი (მერეთი), ბ. კაჭარავა (სკრა) და ს. ელიკაშვილი (ქერე).

შეკრების მონაწილეებს თავისი მუშაობის გამოცდილებაზე მოუთხრო კოლმეურნე ს. ცაციაშვილმა, რომელმაც შარშან ერთ ჰექტარზე 400 ცენტნერი ხილი მიიღო.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზ. კეცხოველმა.

შეკრების მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ბარამიას სიტყვა.

გორელმა მეხილეებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კინოფილმი გენიალურ რუს მეცნიერზე

გენიალური რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე პავლოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეკრანზე გასასვლელად საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგი დიდი გამარჯვებაა. ამ ბოლო დროს ჩვენში შეიქმნა ბიოგრაფიული ხასიათის შესანიშნავი მხატვრული კინოფილმები ისეთ უძვირფასეს და საამაყო მეცნიერთა შესახებ, რომელთა ხსოვნა და სიყვარული ღრმად ჩანერგილია საბჭოთა ხალხის გულში.

პიროგოვი, მიჩურინი, პავლოვი ისეთი ბუმბერაზნი, გენიალური პიროვნებებია, რომელთაც მშობლიური ქვეყნის სასიკეთოდ წარმოებული მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით უკვდავყვეს თავიანთი სახელი და კიდევ უფრო გაზარდეს სახელოვანი რუსული მეცნიერების დიდება. ასეთი დიდი ადამიანების მოღვაწეობის გაცნობა მაყურებელში აძლიერებს პატრიოტულ გრძნობას, სიყვარულს რუსი ხალხისადმი, მისი საუკეთესო წარმომადგენლებისადმი და ერთხელ კიდევ გვიჩვენებს რუსული მეცნიერული აზროვნების სიდიადეს.

კინოფილმი „აკადემიკოსი ივანე პავლოვი“*) მაყურებლის თვალწინ ცხადად შლის იმის სურათს, თუ რა დიდი ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობა ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მეცნიერებს, მის შუმაკებს და რომ საბჭოთა კავშირში ყველა პირობებია შექმნილი მოწინავე მეცნიერების შემდგომი გამარჯვებების მოსაპოვებლად. ამასთან ერთად ფილმში ნათლად არის ასახული ის ბრძოლა, რომლის გადატანაც თვითმპყრობელობის პირობებში უხდებოდათ მოწინავე მეცნიერების ბუმბერაზს წარმომადგენელებს მეცნიერული მუშაობის საწარმოებლად და მეცნიერებაში თავიანთი გამოკვლევების მატერიალისტური მოწინავე მოსაკემების დასაწერგავად.

ფილმი იწყება ქ. რიაზანის მშვენიერი პეიზაჟის ჩვენებით. იქ გაატარა ახალგაზრდობა ივანე პავლოვმა. ჯერ კიდევ მაშინ, 1875 წელს, ახალგაზრდა პავლოვი გრძნობს ულდიდეს მოვალეობას სამშობლოს წინაშე. იგი თავის ძმას ეუბნება: „სიცოცხლე კაცს მხოლოდ ერთხელ ერგება; მე უნდა მოვასწრო ყველაფერი და ისე გავატარო ეს სიცოცხლე, რომ შემეძლოს თქმა: იგი ადამიანურად გავატარე“.

შემდეგ ვხედავთ ახალგაზრდა პავლოვს ლაბორატორიაში მომუშავეს. შესანიშნავად არის გადმოცემული სამხედრო-საექიმო აკადემიის სტუდენტებისა და მოწინავე პროფესორების საბალნური შეხვედრა. ახლოვდება ღამის 12 საათი... პავლოვი ამ დღესაც ლაბორატორიაში მუშაობდა. შეხვედრაზე მოვიდნენ სტუდენტების უსაყვარლესი მოწინავე პროფესორები — ბოტკინი და ფედელეევი. ძალე გამოჩნდა ივანე პავლოვიც. ბოტკინი გიიზომს მას, უნვევნებს სეჩენოვის წიგნს „თავის ტვინის რეფლექსები“ და ეუბნება: „ეს წიგნი სეჩენოვმა მაჩუქა, მე კი ახლა მას თქვენ გაჩუქებთ“. ამ სიტყვებით ბოტკინი ეხვევა პავლოვს. დიდი მეცნიერი და კლინიკისტი ბოტკინი ჯერ კიდევ მაშინ გრძნობდა, რომ მისი მოწაფე პავლოვი განსაკუთრებით დიდი ნიჭით აღჭურვილი ადამიანია.

ამ დროს პავლოვი მუშაობდა საჭმლის მომნელებელ ორგანოთა საკითხზე. მან განიზრახა ისეთი მეთოდის გამონახვა, რომელიც საშუალებას მისცემდა შეესწავლა საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების ფუნქცია, ისე, რომ არ შეეცვალა ორგანიზმის ბუნებრივი პირობები. „ეს ვერავინ ვერ შესძლო ევროპაში“,—ეუბნებიან მას. მართალია, ევროპაში ვერავინ ვერ შესძლო ეს, მაგრამ შესძლო პავლოვის გენიამ და ბრწყინვალე გამარჯვებებსაც მიაღწია. პავლოვი ამ შრომებით უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი გახდა.

1904 წელს პავლოვს შეუსრულდა მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავი. პეტერბურგში მას მოუწყეს დიდი ზეიმი. ერთ-ერთ მილოცვაში პავლოვს უწოდეს „მეცნიერების წამებული“. მილოცვებში გამოთქმული იყო ის აზრი, რომ პავლოვმა უკვე მიაღწია ყველაფერს, რომ მთელი მსოფლიო იცნობს მას, როგორც გენიალურ მეცნიერს, რომელმაც ფიზიოლოგიაში შექმნა ახალი ეპოქა საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების შესწავლით და ახლა უკვე შეუძლია მოსცენებით გაატაროს თავისი სიცოცხლე. პავლოვმა მრისხანედ უპასუხა: „წამებული ვიქნები მხოლოდ მაშინ, რომ ყოველდღე არ ვმუშაობდე ჩემს ლაბორატორიაში“. აქედან იწყება მისი ახალი გენიალური აღმოჩენები, იგი იწყებს პირობით რეფლექსებზე მუშაობას და თავის მოწაფეებს გადაჭრით ეუბნება—„ლაბორატორიის მთელი მუშაობა გადავიყვანოთ პირობითი რეფლექსების შესწავლაზეო“. ცნობილია, რა დიდი მღელვებები მოიპოვა მან ამ მიმართულებით. ისიც ცნობილია, თუ როგორ გაიფურჩქნა და რა გრანდიოზული შედეგები მოგვცა პავლოვისა და მისი სკოლის მუშაობამ ამ დარგში საბჭოთა ხელისუფლების დროს.

დადგა 1917 წელი, გამიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში დრეკებითი სინნელეებია მთელ რუსეთში, რომელიც სამოქალაქო ომის ცეცხლნი გახვეული. სიძნელეებს განიცდის პავლოვის ლაბორატორიაც. ფილმში მშვენივრად არის გადმოცემული ეს პერიოდი. ისტორიულად ცნობილია, რომ ამ დროს ამერიკელები შეეცადნენ ეს სიძნელეები გამოეყენებინათ და გენიალური მეცნიერი სამშობლოსათვის მოეწყვიტათ. ამ მიზნით მოოლატე პეტერშრეგის შემწეობით ამერიკელი ვინმე ხაკსი მივიდა პავლოვთან და წინადადება მისცა ამერიკაში გადასახლებულიყო, ამავე დროს უმტკიცებდა, სულერთია სად იმუშაებენ — რუსეთში თუ ამერიკაში, კაცობრიობისათვის და მეცნიერებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ შეინარჩუნონ სიცოცხლე და განაგრძოთ მეცნიერული მუშაობა, ამის შესაძლებლობა კი მხოლოდ ამერიკაში გექნებათო. ალტაცების მომგვრელია პავლოვის პასუხი. იგი მრისხანედ უპასუხებს ამერიკელ არამზადას: „ვინდოთ გაზიდოთ რუსეთის დოვლათი? ისაკის ტაძარი არ გაინტერესებთ? პეტრე დიდის ძეგლი არ ვნებავთ? მეცნიერებს აქვს თავისი სამშობლო, მეცნიერებსაც აქვთ თავისი სამშობლო. მე, ბატონო ჩემო, რუსი ვარ და ჩემი სამშობლოც აქ არის, რაც არ უნდა დაეშავოთს მას“. დიდი მეცნიერისა და პატრიოტის ეს პასუხი ნიმუშიდება ნათლად გვიხატავს პავლოვის მსოფლმხედველობას, მის უანგარო სიყვარულს სამშობლოსადმი.

არაჩვეულებრივად კარგია სცენა ივანე პავლოვის შეხვედრისა მაქსიმ გორკისთან. ე. ი. ლენინის დაკალებით ივანე პავლოვის ლაბორატორიაში მისული მაქსიმ გორკი ეუბნება პავლოვს: „მე დამავალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გავიგო, თუ რა დახმარება გესაჭიროებათ თქვენ ამეამად და რითი შეიძლება მოგიტანოთ სარგებლობა“. პავლოვი უპასუხებს, მჭირდება ძაღლები ჩემი მეცნიერული მუშაობის გასაგრძელებლადო, ხოლო ულუფის მომატებაზე და საერთოდ პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე გადაჭრით უარი განაცხადა. რამდენი თაობა, ეუბნება მაქსიმ გორკი იგივე პავლოვს, ოცნებობდა რევოლუციაზე და აგერ იგი მოვიდა. მართალია, იგი ზოგვეულნა ჩვენ არა ბრწყინვალე სამოსელში, მაგრამ საჭირო დაეხანახოთ მისი იდეების სიწმინდე და ძალა. ეს სიტყვები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პავლოვზე, მით უმეტეს, რომ რეკოლუციის პირველ დღეებში პავლოვი ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდა იმ დიდ ძვრებში, რაც ხოხდა.

ყველასათვის ცხობილია, რომ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში სახელმწიფო დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, როდესაც თოთხმეტი შეკავშირებული ბურჟუაზიული სახელმწიფო თავს დაესხა რუსეთს, სპეციალური დეკრეტით პავლოვი და მისი ლაბორატორია უზრუნველყოფილი იყო საკმარო პირობებით ტუშაობის გასაგრძელებლად. შემდეგში ეს დახმარება და ყურადღება გრანდიოზულად გაიზარდა. ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ პავლოვს შეუქმნეს საუკეთესო პირობები მეცნიერული მუშაობისათვის. შემთხვევითი არ არის ის, რომ პავლოვმა თავისი შესანიშნავი აღმოჩენები უმაღლესი ნერვიული მოქმედების შესწავლის სფეროში სწორედ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ მოვიცა.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე ივანე პავლოვთან მეზობელი ბოლშევიკის, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფისა და თანამებრძოლის ს. მ. კიროვის შეხვედრის სცენა, რაც საესებით შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. ცნობილია, რომ ლენინგრადის ბოლშევიკების ხელმძღვანელი ს. მ. კიროვი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა გამოჩენილ მეცნიერს, ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის მუშაობას და იმ დიდ მშენებლობას, რაც მთავრობის დადგენილების თანახმად წარმოებდა მსოფლიოში არნახული დიდი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის — მთელი სამეცნიერო ქალაქის ასაგებად. ამ შეხვედრის დროს კიროვმა გააცნო პავლოვს დიდი სტალინის წინადადება ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესის ლენინგრადში მოწვევის შესახებ, რასაც მგზნებარე პატრიოტი და გენიალური მეცნიერი ოტაცებით შეხვდა. და აი ეკრანზე ეხედავთ უკვე მოხუცებულს, მაგრამ ენერგიით სავსე აკადემიკოს პავლოვს. იგი დგას ფიზიოლოგთა კონგრესის ტრიბუნაზე და ამბობს თავის შესანიშნავ პოლიტიკურ სიტყვას. ამ სიტყვაში პავლოვი გმობს მტაცებლურ ომს. მრისხანედ გაისმის მისი სიტყვები, მიმართული ფაშიზმის წინააღმდეგ. ივანე პავლოვი ოტაცებით ლაპარაკობს თავის საყვარელ საბჭოთა საშობლოზე და ქებადიდებს ასხამს საბჭოთა მთავრობას, რომელმაც პირველმა მსოფლიოს ისტორიაში განაცხადა უარი სხვისი მიწაწყლის დაპყრობაზე და რომელიც ყოველმხრივ უწყობს ხელს მეცნიერების განვითარებას.

კინოფილმში მოყვანილია რამდენიმე ადგილი პავლოვის კერძო ცხოვრებიდან, მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად ზომიერად და კარგად არის წარმოდგენილი, რომ ფილმის მთავარ თემას არ ჩრდილავს. პავლოვის მოღვაწეობიდან ასახულია ისეთი ეპიზოდები, რომლებთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

აი, პავლოვი ავადმყოფი წევს ლონგინში, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების შეტევები აქვს, დაინებით მოითხოვს ოპერაციას. მის საწოლთან იმყოფებიან საუკეთესო სპეციალისტები; ზოგი ურჩევს მას მიმართოს ოპერაციის გასაკეთებლად ერთ ცნობილ ვრმანელ ქირურგს, მაგრამ პავლოვი უპასუხებს მათ: „ჩვენი სპეციალისტები მაგზე უკეთესნი არიანო“ და თვითონ ირჩევს ერთ ჩვეულებრივ ბრწყინვალედ მსურველ ექიმს ოპერაციისა.

აი, პავლოვი ამერიკაშია. იგი გაემგზავრა ერთ-ერთ ყრილობაზე დასასწრებლად, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი. აქ მასთან მისვლა გაბედა ინ ძალოლაკე პეტერშრეკმა, რომელიც ცდილობდა 1917 წელს პავლოვის გადაყვანას ამერიკაში სამუშაოდ ამერიკელი ჯაშუშის სამუალებით. პავლოვმა უმალვე იცნო პეტერშრეკი და მრისხანედ უთხრა: „სამშობლოს მოღალატესთან მე ლაპარაკი არ მსურსო“.

ფილმის უკანასკნელი კადრები... პავლოვი, ძმიმე ავადმყოფი, ებრძვის თავის სნეულებას, მაგრამ ღრმად მოხუცებული ვეღარ ერევა სენს. დღითიდღე უარესდება მისი მდგომარეობა. უკვე მწოლიარე წევს. იგი თავის შესანიშნავ წერილს საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, რომლის თვითეული სიტყვა სამარადისოდ დარჩება ისტორიაში. პავლოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა უსათუოდ ხელს შეუწყობს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ შრომის კულტურის ათვისებას, „რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს დროის წესიერად და ნაყოფიერად გამოყენებას“ (კ. ჩარკვიანი).

კინოფილმის მთელ მანძილზე მაყურებელი ეცნობა აკადემიკოს ივანე პავლოვის მგზნებარე, პირდაპირ, დასაბული მიზნისაკენ მტკიცედ მიმავალ პიროვნებას. მშვენივრად არის ასახული ის ბრძოლა, რომელიც გაიმართა ივანე პავლოვის მოძღვრების გარშემო. ივანე პავლოვმა შესძლო გამოენახა ფსიქიკის მეცნიერული ე. ი. მატერიალისტური შესწავლის მეთოდი. მან შეძლო თავის ტვინის მუშაობის კანონზომიერების ახსნა. ივანე პავლოვის მოძღვრების მატერიალისტურმა ხასიათმა რელიგიის, მისტიკიზმისა და იდეალიზმის ყველა სახის მოტრფიალენი ამ შესანიშნავი მოძღვრების წინააღმდეგ აიყვეფა, მაგრამ მეცნიერების ძლიერებასა და თავისი კვლევითი გზის სისწორეში დარწმუნებული პავლოვი მხნედ აცხადებს, დავსწრებიანარ მის იუბილეს, მინახავს იგი პირად ცხოვრებაში და უნდა გაეკაცხადო, რომ მ. პაპავას მიერ სცენარი ისე კარგად არის დაწერილი, ფილმი იმდენად სრულყოფილად არის დადგმული, ისე არაჩვეულებრივად ასრულეს აკადემიკოს პავლოვის როლს მსახიობი ა. ბერიასვილი, ისე წარმტაცი და მასთან სინამდვილეს შეგამბებელია კადრები, რომ ცხადად წარმომიდგა გენიალური რუსი მეცნიერი და მისი ლაბორატორია, დამავიწყდა, რომ ყოველივე ამას ეკრანზე ვუმზერდი.

ფილმმა გამახსენა ჩემი სტუდენტობა, თვალწინ წარმომიდგა ივანე პავლოვთან დაკავშირებული დაუვიწყარი ეპიზოდები. როდესაც სამხედრო საექიმო აკადემიაში

საკლესიო უარყოფა

ამ უკანასკნელ დღეებში ინგლისურმა გაზეთმა „პიპლმა“ და თურქულმა გაზეთმა „ჯუმჰურიეთმა“ ცნობა გამოაქვეყნეს, თითქოს საბჭოთა კავშირი დემმინგის ფასებში უშვებს ბაზარზე ოქროს მარაგს ამ მიზნით, რომ „ჩაშალოს ევროპის აღდგენა“.

საკდესს დაკალებული აქვს უარყოს ეს სულელური მონაცემი, რომელიც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და ცხადყოფს მის ავტორთა უვიცობას.

პარტიული ცხოვრება

პარტიული აქტივის კრებებზე

თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებსა და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. სტურუამ.

— XIV პარტიულმა ყრილობამ, — განაცხადა მომხსენებელმა, — შეაჯამა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა და მშრომელთა წარმატებანი, რაც საანგარიშო პერიოდში მოპოვებულია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხანაგ კ. ჩარკვიანის მეთაურობით.

ამხ. სტურუამ დაახასიათა რაიონის მოწონავე საწარმოების — ინსტრუმენტალური ქარხნის, წისქვილკომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკის, ზეთსახდელი ქარხნის, პურის № 2 და მარგარინის ქარხნების მუშაობა. მან აღნიშნა, რომ გასულ წელს რაიონის საწარმოებმა სახელმწიფოს 13 მილიონი მანეთი ზედგამეთი დაგროვება მისცეს.

— ყველა ნაკლი, — ამბობს მომხსენებელი, — რაც ახასიათებს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობას და აღნიშნული იყო ყრილობის მიერ, მოლიანად შეეხება ჩვენს რაიონსაც. ამხანაგ კ. ჩარკვიანმა გააკრიტიკა კერამიკული კომბინატის, შოკოლადის ფაბრიკისა და მარგარინის ქარხნის ახალი საამქროების მშენებლობა. რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა საწარმოთა უზრუნველყოფა მუშახელით. მუშათა დენადობის, ლიკვიდაცია, განუხრელი ზრუნვა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მომხსენებელი ვრცლად აშუქებს შინაპარტიული და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს.

ზეთსახდელი ქარხნის დირექტორმა ს. ფალავანდიშვილმა, რომელიც კრებაზე სიტყვით გამოვიდა, აქტივს უამბო იმის შესახებ, რომ ქარხანა მიმდინარე წელს შეცვლის მოძველებულ მანქანებს. ეს 10 პროცენტამდე გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, გაუჯობესდება პროდუქციის ხარისხი და დაჩქარდება სამხარეულ საშუალებათა ბრუნვა.

მარგარინის ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. კორშიანი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ფიქრობს პარტიული ორგანიზაცია დარაზმოს მუშები და სპეციალისტები ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ამხ. ვ. პანიევმა (მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), გ. ჩაჩხიანმა (№ 1 საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორი), დ. ოსსეოანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი) და სხვ.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

• • •

შედგა ზესტაფონის რაიონის პარტიული აქტივის კრება. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ს. საყვარელიძემ.

— ჩვენი რაიონი, — განაცხადა მომხსენებელმა,—მნიშვნელოვანი მიღწევებით წარდგა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე. რაიონის წამყვანმა სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს 1948 წლის საწარმო დავალებანი. ასევე სერიოზული წარმატებანი აქვს რაიონს სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში. ამყამად ამოცანა ის არის, რომ ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე გარდავქმნათ მუშაობა, მთელი ძალები დავრაზმოთ მიმდინარე წელს ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ი. კეკელიძე (ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი), ა. გიორგაძე (სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების გამგე), ბ. ლელაძე (ქვედა საქარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი), გ. მაღლაკელიძე (ალდეეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და სხვები, სულ 14 ამხანაგი.

კრებამ მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ბრუნვის დაჩქარებით ათავისუფლებენ ხუთ მილიონ მანეთს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მოსკოველთა თაოსნობას საბრუნავი თანხის ბრუნვის დაჩქარების შესახებ მარგანეცის მრეწველობაში მხურვალედ გამოეხმაურნენ. მარგანეცის ქალაქის პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა გულდასმით მოიფიქრეს და აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი. ამ საქმეს პარტიის საქალაქო კომიტეტი ჩაუდგა სათავეში. ქალაქკომის მდივანი ამხ. პ. პეტრიაშვილი პირველად საწარმოთა ხელმძღვანელებს, ეკონომისტებს, ბუხგალტრებს ეთათბირა. ამის შემდეგ საბრუნავი თანხების ბრუნვის დაჩქარების საკითხი სპეციალურად იქნა განხილული საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე.

შეიქმნა კომისია ტრესტის მმართველის, ქალაქკომის მეორე მდივნის, ტრესტის მთავარი ეკონომისტის, მთავარი ბუხგალტრის, მასალათა მომარაგების განყოფილების უფროსის და ბანკის მმართველის შემადგენლობით. კომისიას დაევალა შეეფუშავებინა პრაქტიკული ღონისძიებანი.

მაღაროებში მოეწყო ახსნა-განმარტებანი საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების მნიშვნელობაზე. მაღაროთა ხელმძღვანელები ახორციელებენ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რითაც ჭიათურელი მაღაროელები წელს საბრუნავი თანხების ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლებენ ხუთ მილიონ მანეთს. ამისათვის ტრესტს დიდი რეზერვები მოუპოვებია.

უნდა მოხდეს შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია, დაინერგოს წარმოების ნაკადური მეთოდი, მასალათა მომარაგებისა და დაგეგმვის საქმეში დამყარდეს წესრიგი; ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია დაიხარჯება მოიჭირნეობით, დროულად მოხდება მზა პროდუქციის რეალიზაცია.

მარგანეცის მრეწველობას დიდძალი დამზმარე მასალების მარაგი მოეპოვება. ცენტრალური და მაღაროთა საწყობებში წლების მანძილზე უმოძრაოდაა მასალები, რომელთა რეალიზაცია არ ხდება. ზოგჯერ ხდება საჭიროზე მეტი მასალის შემოზიდვა. ეს იწვევს სახსრების უმოძრაობას. წლების მანძილზე უმოძრაოდაა დაახლოებით 600.000 მანეთის მასალები.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას ყველა შესაძლებლობა გააჩნია საბრუნავი თანხების ბრუნვის დაჩქარებით ხახელმწიფოს გაუთავისუფლოს ხუთი მილიონი მანეთი. ეს ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს.

შაქრის ქარხანა წარმავლებით მუშაობს

აბარა. (საკ. კორ.). აბარის შაქრის ქარხნის კოლექტივი წარმატებით გაგრძელობს მუშობას. 25 თებერვლისათვის ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით უკვე მოგვცა 11.722 ცენტნერი შაქარი. საუკეთესოდ მუშაობენ ი. ცაცები, რომელთაც ს. გოკაძე და ი. იკოვები ხელმძღვანელობენ.

რკინიგზელთა მორიგი საბრძოლო ამოცანები

(ამიერკავკასიის რკინიგზის სამეურნეო აქტივის კრება)

28 თებერვალს თბილისში შედგა ამიერკავკასიის რკინიგზის სამეურნეო აქტივის კრება. კრებამ მოისმინა „გზის უფროსის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება ამიერკავკასიის რკინიგზის, 1948 წლის მუშაობის შედეგებისა და 1949 წლის ამოცანების შესახებ. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 28 ორატორმა.

აქტივის კრებამ, ერთსულოვნად მიიღო წინადადება ამიერკავკასიის რკინიგზელთა მთელი კოლექტივის სახელით ხალხთა ბელადის დიდი სტალინისათვის მისასალმებელი წერილის გაგზავნის შესახებ. ამ წერილით ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კოლექტივი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინაშე კისრულობს დიდად პასუხსაგები კონკრეტული საწარმოო ამოცანების შესრულებას. ამიტომ აქტივის ხალხმამ გულდასმით, პუნქტირივ განიხილა ეს ვალდებულებანი და ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახელით მტკიცედ იკისრა მათი გახალდება.

აქტივის კრებამ ამასთანავე მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზელთა საუკეთესო მეგობარს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

აქტივმა მისალმებებით მიმართა აგრეთვე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. კ. ჩარკვიანს, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს მდივანს ამხ. გ. არუთინოვს და გზათა მინისტრს ამხ. ბ. ლეშჩენს.

• • •

ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ მისასალმებელ წერილში ამიერკავკასიის რკინიგზელები კისრულობენ კალდებულებას: ვადამდე შეასრულონ სახელმწიფო ტვირთნიდვის 1949 წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 15.000 ვაგონი; 2 საათით დაჩქარონ ვაგონთა მიმოქცევა 1949 წლის გეგმასთან შედარებით; შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფოს მისცენ 10 მილიონი მანეთი ეკონომია; საორთქლმავლო მეურნეობაში მიაღწიონ 3.500 ტონა საწვავისა, ხოლო საელმავლო მეურნეობაში —2 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომიას; საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოსთვის გაათავისუფლონ არანაკლებ 2 მილიონი მანეთი და მიმდინარე 1949 წელს იმუშაონ უდოტაციოდ.

ამ ვალდებულებათა შესრულება რკინიგზის თვითეული საწარმოს კოლექტივის, ამიერკავკასიის რკინიგზის თვითეული მუშაკის პატრიოტული ღირსების საქმეა.

დიდი მუშაობის გაწევა, მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდებათ ჩვენს რკინიგზელებს, რომ ბელადის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად გაანაღდონ. ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. კიკნაძემ თავის მოხსენებაში კონკრეტულად აღნიშნა ამიერკავკასიის რკინიგზელთა მუშაობის ის „ვიწრო ადგილები“, რომელთაც წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მხოლოდ ამ „ვიწრო ადგილთა“ დაძლევით შეიძლება გზის მუშაობის ყველა მაჩვენებელთა გაუმჯობესება.

შარშან ამიერკავკასიის რკინიგზამ ცუდად როდი იმუშავა. ეს აღნიშნა თავის მოხსენებაში საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა. ამავე დროს ამხანაგმა ჩარკვიანმა განაცხადა: „...უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომამდელი დონისათვის. გზის მუშაობის ძირითად ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ვაგონების დიდი მოცდენა და შემოსავლის გეგმის შეუსრულებლობა“.

— 1948 წელს, მოძრავი შემადგენლობის, უმთავრესად ვაგონების (აგრეთვე ორთქლმავლებისა და წევის სხვა საშუალებების) მიმოქცევის შენელების შედეგად, — განაგრძობს ამხ. კიკნაძე, — ამიერკავკასიის რკინიგზას მრავალი მილიონი მანეთი ზარალი მოუვიდა. რას ნიშნავს მოძრავი შემადგენლობის მიმოქცევის შენელება? ეს ნიშნავს ემნიშვნელოვანესი სახელმწიფო ტვირთების — მადნის, ლეთონის, საწვავის, ხე-ტყის საშენი მასალების და ა. შ. გადაუზიდავად დატოვებას. მოძრავი შემადგენლობის მიმოქცევის შენელებას კი იწვევს ტექნიკური ექსპლატაციის წესების ხშირი დარღვევა, ვაგონებისა და სხვა მოძრავი შემადგენლობის უძრავად დგომის გახანგრძლივება, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების შეუწყვეტლივად გაჭიანურება და მთელი რიგი სხვა მზეზები.

ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარება ერთ-ერთი ის მთავარი ღონისძიებაა, რაც ჩვენს რკინიგზელებს დაეხმარება 1949 წლისათვის დასახული დიდი ამოცანების შესრულებაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ მოძრავი შემადგენლობის მიმოქცევის საქმეში ამიერკავკასიის რკინიგზელებს იანვარ-თებერვალში წარმატებისათვის არ მიუღწევიათ, პირიქით, მათ კიდევ უფრო გაუარესესეს მუშაობა: თუ 1948 წელს ვაგონთა მიმოქცევის საშუალო მაჩვენებელი იყო 4,4 დღე-ღამე, ახლა ეს მაჩვენებელი 4,5-მდე გაიზარდა. საკვანძო სადგურებზე (სამტრედია, შორაპანი, ხაშური, ნათესული, ქუთაისი და სხვ.) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაგონთა დგომის ნორმების დაცვას. ვაგონების გაცდენას ხშირად ისიც იწვევს, რომ სადგურებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს ღამით არ აწარმოებენ. ხშირად ხდება, რომ საჭირო დანიშნულების ნაცვლად ვაგონებს მოძრაობის დარგის მუშაკთა უყურადღებობისა და გულგრილობის შედეგად სულ სხვა მიმართულებით გზავნიან.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ახლა ფართოდაა გავრცელებული მძიმე წონის მატარებელთა ტარების მეთოდი. ბევრმა რკინიგზელმა მემანქანემ თავი ისახელა ამ საქმეში, მაგრამ ამ მოწინავეთა გვერდით არიან ისეთი სორტიქმლავლო გუნდები, რომლებიც მატარებლებს ნორმამდე დაუტვირთავად ატარებენ. ამასთან არის ავრეთვე ცარიელ ვაგონთა გარბენის შემთხვევები, მაშინ როდესაც სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ არ ვატაროთ ცარიელი ვაგონები, დავტვირთოთ და სახელმწიფო ტვირთბრუნვის გასადიდებლად გამოვიყენოთ ისინი.

აქტივმა ხანგრძლივად შეაჩერა თავისი ყურადღება ამიერკავკასიის რკინიგზის საფინანსო მდგომარეობაზე. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ საშემოსავლო გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება სამგზავრო სამსახურის დარგის მუშაკთა მოუქნელი, ზოგჯერ გულგრილი მუშაობით, აგრეთვე უღირს რკინიგზელთა დანაშაულებრივი უდარდელობით. ხშირია სამგზავრო მატარებლებში უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევები. სოხუმის მატარებლის ერთ-ერთ გამყოლს, ვინმე არაქელოვს, მაგალითად, ვაგონში სულ 18 მგზავრი ჰყავდა. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მათ შორის 16 უბილეთო იყო. ასეთი შემთხვევების ალსაკვეთად სათანადო ენერგიით არ იბრძვიან არც სამგზავრო დარგის ხელმძღვანელები და არც მატარებელთა რევიზორები.

დიდი ზარალი მოსდის რკინიგზას გადასახადად მიღებული ტვირთების დაზიანებისა და გაფუჭების გამოც. რკინიგზელებმა ამ მხრივ მომავალში მტკიცედ უნდა გაამახვილონ ყურადღება, ტვირთებს კარგად მოუყარონ და უპატრონონ, რათა კლიენტებს პრეტენზიები არ ექნეთ.

ვაგონების და სხვა მოძრავ საშუალებათა მიმოქცევის დაჩქარება, მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვა, სალიანდაგო მეურნეობის წესრიგზე მოყვანა, კავშირგაბმულობის გაუმჯობესება, უსაფრთხოობის წესების ზედმეწევნით სიზუსტით დაცვა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება, უბილეთოდ მგზავრობის სრული ლიკვიდაცია და მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება ყველა რგოლსა და უბანზე საშუალებას მისცემს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კოლექტივს წარმატებით გაანაღდონ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობა.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო

მინდვრად ბალახთესვის ზოგიერთი საკითხი *

სანამ მრავალწლიანი ბალახების თესლი ცოტა გვაქვს, უნდა შემოვიღოთ მათი მოყვანის სხვადასხვაგვარი ხერხი. უნდა გამოვიყენოთ ფართომწკრივიანი და ბუდობრივი თესვა ონჯღოსა და სხვა ბალახთა თესლის მძიღების დასაჩქარებლად. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მრავალწლიან ბალახთა თესლის მიღების ძირითადი წყარო არის მათი მოყვანა ჩვეულებრივ ნარეგბალახეულ მთლიან ნათესში მინდვრის თესლბრუნვაში. ჩვენ ბევრი თესლი გვესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ მთლიანად აკითვისოთ მინდვრისა და საკვები თესლბრუნვა, არამედ იმისთვისაც, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შევქმნათ მრავალწლიან ბალახთა თესლის სათადარიგო, საფაზეეეთ ფონდები.

ამიტომ ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ყველა სახის ბალახთა თესლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი და საპატიო საქმეა. როცა ვცდილობთ მოვიყვანოთ ბალახთა თესლის უხვი მოსავალი და მივიღოთ მათი მეტი საერთო რაოდენობა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალწლიან ბალახთა თესლი, თუმცა აუცილებელი საშუალებაა, მაგრამ მაინც საშუალებაა და არა მიზანი კარგი ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის საქმეში.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია მრავალწლიან ბალახთა, პარკოსან-მარცვლეული ბალახების ნარევთა კარგი ბალახნარი მინდვრის თესლბრუნვაში. ჩვენ უნდა გვქონდეს თესლბრუნვაში მრავალწლიული ბალახების ისეთი ბალახნარი, რომელიც უზრუნველყოფს საშუალოდ ერთი გათიბვის დროს ჰექტარზე 30-50 ცენტნერ თივის მოსავალს. ჩვენ ხომ ვიცით, სადაც სუსტი ბალახნარია. რომელიც ერთ გათიბვაზე 10-15 ცენტნერ თივას იძლევა ჰექტარზე, იქ ნაკლებად გაუმჯობესდება ნიადაგის ნაყოფიერების პირობებიც. რაკი ამა თუ იმ მინდორში ბალახი ცოტაა, იქ ფესვებიც ცოტა იქნება. ამიტომ იმ შემთხვევებში,—ასეთი შემთხვევები კი, საბჭუბაროდ, იმვითი როდია,—როცა მრავალწლიანი ბალახები ერთი გათიბვის დროს ჰექტარზე 10-15 ცენტნერ მოსავალს იძლევა, ნიადაგის სტრუქტურის შექმნაში ვერ ვიღებთ იმ სარგებლობას, რომელიც შეიძლება და კიდევაც უნდა მივიღოთ, თუ მინდვრის თესლბრუნვაში შემოღებულ იქნა მრავალწლიული ბალახები.

თივის მცირე რაოდენობა — ჰექტარზე 10-15 ცენტნერი,—აგრეთვე სუსტად განვითარებული ბალახებით ნიადაგის ნაყოფიერების პირობების ცირეული გაუჯობესება, რასაკვირველია, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვერ შეცვლის იმ 10-15 ცენტნერ ზერიისა ან ქერის მარცვალს, რაც შეიძლება მივიღოთ თვითეულ ჰექტარზე, რომელიც ეკავა ცუდად მოყვანილ მრავალწლიან ბალახს.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ნათეს ბალახთა გამეჩხერებული ბალახნარის და მათი სუსტი განვითარების დროს მინდორს ხშირად ანაგვიანებს მრავალწლიანი სარეველა ბალახები, განსაკუთრებით ჯანგა.

ამიტომ მინდვრად ბალახთესვის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს მრავალწლიან ბალახთა მოყვანის ისეთი ხერხთა დამუშავება და დაუფლება, რომლებიც გვალვიან რაიონებშიც კი უზრუნველეყოფენ ერთი გათიბვის დროს ჰექტარზე 30-50 და მეტი ცენტნერი თივის მიღებას.

ჰექტარზე მრავალწლეული ბალახების მწვანე მასის მოსავლიანობის გადიდება, მაშასადამე, თივის მოსავლის გადიდება ცენტრალური საკითხია მეცნიერების მუშაკთათვის, აგრონომთათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთათვის მათს მუშაობაში ნათესბალახიანი თესლბრუნვის დასანერგავად.

როცა ჰექტარზე 50 ცენტნერი სამყურას ან ონჯღის თივის მოსავალი მოდის ერთი გათიბვის დროს, ნიადაგს ნაყოფიერების უკეთესი პირობები იქმნება ბალახებით ერთი წლით სარგებლობის განმავლობაში, ვიდრე ორი წლით სარგებლობის დროს, როცა ერთი გათიბვისას ჰექტარზე 10-15 ცენტნერი თივა მოდის.

საერთოდ ნათესი ბალახების მწვანე მასის უხვი მოსავლის დროს ბალახის მინდვრით ერთი წლის სარგებლობა აგროტექნიკურად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ორი წლით სარგებლობა თივის მცირე მოსავლის დროს. მწვანე მასის უხვი მოსავლის დროს მრავალწლიანი ბალახების ორი წლით სარგებლობა ბევრ შემთხვევაში მეურნეობის თვალსაზრისით და აგროტექნიკურად აკრეფვე ხელსაყრელია.

მაგალითად, შეიძლება თუ არა გვალვიან რაიონებში ყოველწლიურად მივიღოთ უხვი მოსავალი — ჰექტარზე 30-40 ცენტნერი თივა მრავალწლიანი ბალახისა ერთი გათიბვის დროს? დიახ, შეიძლება და კიდევაც უნდა მივიღოთ! ყველაფერი დამოკიდებულია მრავალწლეულ ბალახთა მოყვანის ხერხზე.

საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის (ოდესა) მინდვრებში ყოველგვარ, გვალვიან წელიწადშიც კი ზაფხულში წინა წლის ნათესი ონჯღა ისეთ მძლავრ მწვანე მასას აკითარებდა, რომ იგი თესლის ასაღებად რომ არ დაატოვებინათ, შეიძლებოდა 40-50 ცენტნერი თივა მიეღოთ ჰექტარზე მარტო პირველი გათიბვის დროს. 1946 წელსაც კი, როცა ხანგრძლივი, ძლიერი გვალვა იყო, წინა 1945 წლის ზაფხულში ნათესი ონჯღა ამ ინსტიტუტის მინდვრებში ჩინებულად განვითარდა და კარგი ბალახნარი არ იძლეოდა იმის ნიშნებს, რომ გვალვამ შეაწუხა.

ონჯღის ამ ზაფხულის ნათესის მინდვრის გვერდით იყო იმავე 1945 წლის, მაგრამ არა ზაფხულის, არამედ გაზაფხულის ნათესი ონჯღა. ეს ნათესი მეტად დაჩაგრა გვალვამ და არ მოუცია არც თივის, არც თესლის რაიმე მოსავალი. 1945 წლის ზაფხულის ნათეს ნაკვეთზე კი, რომლის ფართობიც დაახლოებით 20 ჰექტარს უდრიდა, 1946 მეტად გვალვან წელიწადში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 1,5 ცენტნერი თესლი.

ეკრანული გვალვიან, ვალიან რაიონებში ონჯღის ზაფხულში სწორი თესვის დროს, როგორც ამას ვვიჩვენებს სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის ცდები, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკა, შეიძლება ყოველ წელიწადს ერთი გათიბვის დროს 30, 40 და 50 ცენტნერი ონჯღის თივა- მივიღოთ ჰექტარზე. ასეთი მოსავალი მით უფრო შესაძლებელია ნაკლებ გვალვიან რაიონებში.

თივის უხვი მოსავლის მისაღებად მრავალწლეულ ბალახთა მოყვანის ხერხები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონისათვის სხვადასხვა უნდა იყოს. მაგრამ ყველგან უნდა მივიღოთ ბალახის უხვი მოსავალი, რადგან ბალახის დიდი მოსავალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისა, რომ უზრუნველყოთ მინდვრის თესლბრუნვაში ყველა კულტურის უხვი მოსავალი, აგრეთვე მეცხოველეობის უხვი პროდუქტიულობა.

მინდვრის თესლბრუნვაში კარგი მძლავრი ნათესი ბალახების მოსაყვანად მქაკე ნიადაგზე უნდა გამოვიყენოთ გაკირიანება. ყველა ნიადაგზე კარგ ეფექტს მოგვცემს ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქის გამოყენება. განსაკუთრებით ეფექტიანი ბევრ შემთხვევაში შეიძლება იყოს დაფხვნილი ნიმრალური სასუქი. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დაფხვნილი სასუქი, მაგალითად, სუპერფოსფატი, თუ მას მხოლოდ 50 კილოგრამის ოდენობით მოვაყრით ჰექტარზე, მარცვლის სათესით მარცვლეული პურეულის ბალახებისათვის საფარ თესლთან ერთად, მარცვლეულისა და ბალახის მოსავალს იმატებადეს გაადიდებს, როგორც 2-3 ცენტნერი ჩვეულებრივი დაუფხვნელი სუპერფოსფატი, ხელით მობნეული და კულტივატორით ან გუთნით ჩახნული. სასუქის, აგროტექნიკისა და აგრონიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის მინერალური სასუქების დარგის მეცნიერ მუშაკებს დღემდე შეცდომა მოსდიოდათ, უგულებელყოფდნენ რა დაფხვნილი მინერალური სასუქის დიდ მნიშვნელობას ხვნის სოფლის მეურნეობისთვის, განსაკუთრებით მარცვლეული პურეულისა და ნათეს ბალახთა მოსავლიანობის გასაღიდებლად.

• • •

მრავალწლიანი ბალახები მინდვრის თესლბრუნვაში მეტწილად ითესება და კვლავაც დაითესება საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული პურეულის საფარქვეშ.

ცნობილია, რომ ნაკლებნაყოფიერ მინდვრებში, სადაც მარცვლეული პურეულის მცირე მოსავალი მოდის, ამ პურეულის საფარქვეშ შეთესილი ბალახებიც მცირე მოსავალს იძლევა. ამ შემთხვევებში მეტად საჭიროა შეტანილ იქნას დაფხვნილი მინერალური სასუქი საფარი მარცვლეული კულტურის თესვის დროს. მარცვლეული საფარი კულტურების უფრო უხვი მოსავლის დროს, მაგალითად, ჰექტარზე 15-20 ცენტნერი მოსავლის დროს, შეთესილი ბალახი აგრეთვე მნიშვნელოვნად უკეთეს მოსავალს იძლევა.

კარგ ნიადაგზე, უხვი მოსავლის დროს ამკამად არსებული მარცვლეული პურეულის ჯიშები ხშირად წვება და ამით მეტად ჩრდილავს, ჩაგრავს ნათესი ბალახის აღმონაცენს. ასეთ შემთხვევებში სამყურას ან ონჯღის აღმონაცენი მეტად მეჩხრდება და თივის მოსავალი მნიშვნელოვნად მცირდება.

მეცნიერების მუშაკებმა უნდა იცოდნენ ეს და რაც შეიძლება მალე გამოსახონ თვითეული რაიონისათვის კონკრეტული ხერხები, რომ გადაწყვეტონ ეს წინააღმდეგობა პურეულის კარგ განვითარებასა და მინდრის თესლბრუნვაში ნათეს ბალახთა ასეთი კარგი მოსავლის მიღებას შორის.

უკრაინის სსრ ველის გვალვიან რაიონებში ონჯღა, როცა მას მარცვლეული პურეულის საფარქვეშ შეთესავენ, ვერ განვითარებს ფესვის სისტემას. ამიტომ ბალახის სიცოცხლის მეორე წელიწადში, ე. ი. სარგებლობის პირველ წელიწადს ასეთი ნათესი ხშირად ჩაიწვის და მწვანე მასას კარგად ვერ აკითარებს. ამ რაიონებში შედარებით უგვალვო წლებშიც კი ასეთი ნათესი ერთი გათიბვის დროს 20-25 ცენტნერზე მეტ თივის მოსავალს ვერ იძლევა. უკრაინის სსრ ველიანი ნაწილის გვალვიან რაიონებში ონჯღის წმინდა მთლიანი გაზაფხულის ნათესი, აგრეთვე ხშირად ვერ აკითარებს კარგს ნიადაგსა და ქვენიადაგში ღრმად მიმავალ ფესვთა სისტემას. ამიტომ ეს ნათესიც ბალახიანი მინდვრის სარგებლობის არც პირველ, არც მეორე წელიწადს არ იძლევა თივის კარგ ნათიბს.

საშემოდგომო ანეულის კარგად დამუშავებულ მინდვრებში ონჯღის ზაფხულის ნათესი კი, თუ იგი დათესილია არა ფართო მწკრივებად, არამედ მთლიანი წესით, თუ კარგად აღმოცენდა, ყოველწლიურად ყველაზე გვალვიან წლებშიც კი უზრუნველყოფს ნაცვლად ვაგონებს მოძრაობის დარგის მუშაკთა უყურადღებობისა და გულგრილობის შედეგად სულ სხვა მიმართულებით გზავნიან.

ამერიკავკასიის რკინიგზაზე ახლა ფართოდაა გავრცელებული მძიმე წონის მატარებელთა ტარების მეთოდი. ბევრმა რკინიგზელმა მემანქანემ თავი ისახელა ამ საქმეში, მაგრამ ამ მოწინავეთა გვერდით არიან ისეთი სორტიქმლავლო გუნდები, რომლებიც მატარებლებს ნორმამდე დაუტვირთავად ატარებენ. ამასთან არის ავრეთვე ცარიელ ვაგონთა გარბენის შემთხვევები, მაშინ როდესაც სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ არ ვატაროთ ცარიელი ვაგონები, დავტვირთოთ და სახელმწიფო ტვირთბრუნვის გასადიდებლად გამოვიყენოთ ისინი.

აქტივმა ხანგრძლივად შეაჩერა თავისი ყურადღება ამიერკავკასიის რკინიგზის საფინანსო მდგომარეობაზე. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ საშემოსავლო გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება სამგზავრო სამსახურის დარგის მუშაკთა მოუქნელი, ზოგჯერ გულგრილი მუშაობით, აგრეთვე უღირს რკინიგზელთა დანაშაულებრივი უდარდელობით. ხშირია სამგზავრო მატარებლებში უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევები. სოხუმის მატარებლის ერთ-ერთ გამყოლს, ვინმე არაქელოვს, მაგალითად, ვაგონში სულ 18 მგზავრი ჰყავდა. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მათ შორის 16 უბილეთო იყო. ასეთი შემთხვევების ალსაკვეთად სათანადო ენერგიით არ იბრძვიან არც სამგზავრო დარგის ხელმძღვანელები და არც მატარებელთა რევიზორები.

დიდი ზარალი მოსდის რკინიგზას გადასახადად მიღებული ტვირთების დაზიანებისა და გაფუჭების გამოც. რკინიგზელებმა ამ მხრივ მომავალში მტკიცედ უნდა გაამახვილონ ყურადღება, ტვირთებს კარგად მოუყარონ და უპატრონონ, რათა კლიენტებს პრეტენზიები არ ექნეთ.

ვაგონების და სხვა მოძრავ საშუალებათა მიმოქცევის დაჩქარება, მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვა, სალიანდაგო მეურნეობის წესრიგზე მოყვანა, კავშირგაბმულობის გაუმჯობესება, უსაფრთხოობის წესების ზედმეწევნით სიზუსტით დაცვა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება, უბილეთოდ მგზავრობის სრული ლიკვიდაცია და მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება ყველა რგოლსა და უბანზე საშუალებას მისცემს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კოლექტივს წარმატებით გაანაღდონ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობა.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 43.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირში ფასების ახალ შემცირებაზე

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 2 მარტი. (საყდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ ჩეხოსლოვაკიის ფართო საზოგადოებრივობა დიდი ინტერესით და უკიდურესი მადლიერებით ეხვეწება. საბჭოთა მთავრობის ახალ ღონისძიებაში პრაღის გაზეთები ხედავენ მეორნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე სოციალისტური სისტემის უბირველესობის კიდევ ერთი დადასტურება. გაზეთი „ლიდა ფრონტა" აშასთან დაკავშირებით ესაუბრება ტრუმენის მრჩეველის კეიზერლინგის უკანასკნელ განცხადებას, რომელშიც მან აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობა უარესდება და რომ ფასები მატულობს, მაშინ როცა ხელფასი მცირდება.

ფასების შემცირება საბჭოთა კავშირში, წერს გაზეთი „პრაცა", მთელი მსოფლიოს ხალხს უჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობა ომორეცდებს სამშვიდობო პოლიტიკას, თავისი ბიუჯეტიდან ფასების შესამცირებლად გამოაყოფს 48 მილიარდ მანეთს და ამით ეუმკლობესებს მშრომელთა კეთილდღეობას.

სსრ კავშირში ფასების ახალი შემცირება წარმოადგენს ლაზერის ჩაცემას ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ორგანიზატორებისათვის, რომლებიც ცდილობენ თავისი აგრესიული გეგმები საბჭოთა კავშირის მიმართ შენიღბონ მტკიცებით, თითქოს დასავლეთ ევროპას საფრთხე მოელის სსრ კავშირის მხრივ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში ფასების შემცირება სოციალიზმის ქვეყნების ძლიერების მაჩვენებელია.

საბჭოთა კავშირის ახალი აქტი, აღნიშნავს გაზეთი, ძალას მატებს ჩეხოსლოვაკიის მშრომელებსაც, რომლებიც სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკის მშენებლობისათვის მშვიდობიან შრომას ეწევიან.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბაატორი, 2 მარტი. (საყდესი). გაზეთმა „უნენმა" გამოქვეყნა სსრკა ტუქმენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის საჭელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. ეს დადგენილება გადაცემულ იქნა აგრეთვე მონღოლეთის რადიოთი.

ადგილობრივი საბჭოგადოებრიობის წრეებში დადგენილებას გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს და განსაბოლოვებ როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების განუხრელი ზრდისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის დიდი სტალინური ზრუნვის ახალ მკაფიო დადასტურებას.

ბულგარეთი

სოფია, 2 მარტი. (საყდესი). ბულგარულმა გაზეთებმა დღეს პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით გამოქვეყნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ფასების ახალი შემცირების შესახებ. ეს ამბავი ბულგარეთის ეკონომიურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ადგილს იკავებს. ბულგარეთის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ბულგარეთის ეროვნული ეკონომიკა ამ წლის ბოლოს 1948 წლთან შედარებით 1,5 მილიარდ ლევამდე ანუ 15 ტოკოსად ეტოლებოდა. ეს ფასების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ შემცირებას ნიშნავს